ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 273

11 სექტემბერი
"___"_____ 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №28-32-ის მიმდებარედ არსებული 2398 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.012.026) 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელისთვის" (ს/კ 405243927) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №28-32-ის მიმდებარედ არსებული 2398 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.012.026) 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელისთვის" (ს/კ 405243927) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 22 აგვისტოს №18.700.1017 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №28-32-ის მიმდებარედ არსებული 2398 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.012.026) 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელისთვის" (ს/კ 405243927) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6800 (ექვსი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე